ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.13.01.007.090, “ბრიტანული ცენტრის (თოდუას კლინიკა) ახალი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები



ქ. თბილისი 2026 წელი

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.13.01.007.090, "ბრიტანული ცენტრის (თოდუას კლინიკა) ახალი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

ინდივიდუალური მეწარმე "G&G"
ინჟინერ გეოლოგი გ. ტატინაშვილი

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №№
1	2	3
	I ტექსტური ნაწილი	
1.	ტექნიკური დავალება	2 ფურცელი
2.	საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში (დასკვნა)	17 ფურცელი
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
3.	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები	3 ფურცელი
4.	გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების (კრებსითი ცხრილი)	2 ფურცელი
5.	ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების შედეგების სამუშაოს ანგარიში	4 ფურცელი
6.	ფოტომასალა - 8 სურათი	4 ფურცელი
	III გრაფიკული ნაწილი	
7.	საკვლევი უბნის ტოპო-გეგმა, მასშტაბით 1:500-თან, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზის დატანით	1 ფურცელი
8.	ჭაბურღილების სვეტების და საკვლევი უბნის ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები	4 ფურცელი

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება:

თოდუას კლინიკა (პოლიკლინიკა)

ობიექტის მდებარეობა:

ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №21 (ს.კ. 01.13.01.007.090)

დაპროექტების სტადია:

სამუშაო დოკუმენტაცია.

ასაშენებელი შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით:

პირველი **(ГОСТ27751-88)**.

მშენებლობის ტიპი:

ახალი

მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია პოლიკლინიკის მშენებლობა, რომელიც შედგება ორი მიწისქვეშა და ექვსი მიწისზედა სართულისგან.

ასაშენებელი შენობების ტიპი: ჩარჩო - კავშირებიანი.

საპროექტო შენობების საძირკვლების ტიპი: საძირკვლის ტიპი დაზუსტდება საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დასრულების შემდგომ. (სავარაუდოდ მთლიანი ფილა)

შენობის საძირკვლის ძირის აბსოლუტური ნიშნული (საორიენტაციო) – 7.7 = 420.6 მ.

საორიენტაციო დატვირთვები (წნევა) საძირკვლების ფილის ძირზე – 14-16 ტ/მ^2;

მზიდი კონსტრუქციების მასალა – მონოლითური რკინაბეტონი.

სამშენებლო მოედანზე გაყვანილ იქნას მინიმუმ სამი ჭაბურღილი. ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ თანახმად ნორმისა **СНиП**1.02.07-87. შესაძლებელია ჭაბურღილების ადგილმონაცვლეობა დამკვეთთან შეთანხმებით.

შეფასდეს უბნის ამგები ფუძე-გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ფენის სიმძლავრეები, ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, სიმკვრივე, საგების კოეფიციენტი, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გუნტების წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში - (*RC(o);ρ; E;C;μ;ϕ*) და სხვა. განსაზღვრული იქნას ფუძე-გრუნტების კატეგორა სეისმური თვისებების მიხედვით.

დეფორმაციის მოდულის განსაზღვრისათვის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდეს ყველა ჭაბურღილის ნიმუშზე, რომლებიც აღებული უნდა იქნას სხვადასხვა სიღრმეზე;

ჭაბურღილებიდან ამოღებულ ნიმუშებზე ჩატარდეს დეტალური კვლევები ფუძე-გრუნტების გაჯირჯვებისა და ჩაჯდომადი თვისებების (**Ɛsw; Psw; Wsw; Ɛsl; Psl; Wsl;**) გამოვლენისა და შესაფასების მიზნით.

აიგოს ლითოლოგიური ჭრილები სრულად.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ასევე უნდა მოიცავდეს მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობების დაფუძნების პირობების კვლევებსაც.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად; საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია (ტექნიკური ანგარიში) წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ასევე ელექტრონულ ვერსიაში.

კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე

თბილისი 2026 წ.

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.13.01.007.090, "ბრიტანული ცენტრის (თოდუას კლინიკა) ახალი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

I – შესავალი - შპს "ემ არქიტექტურა", საიდენტიფიკაციო კოდი 402067133, დირექტორი რატი ხეცურიანი დავალებით, ინდივიდუალური მეწარმე "G&G"-მ, 2026 წლის იანვარში, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.713.01.007.090, შპს „ბრიტანული ცენტრის (თოდუიას კლინიკა)" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, კლინიკის ახალი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი:

- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- კლინიკის დასაპროექტებელი შენობის დაფუძვნების საკითხის გადაწყვეტა.

კლინიკის საპროექტო შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

დასახული მიზნების მისაღწევად ჩატარებული იქნა შემდეგი სახის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები:

- მოპოვებული და შესწავლილი იქნა ხელთარსებული საფონდო მასალები;
- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, კლინიკის საპროექტო შენობის კონტურის ფარგლებში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების, ს.ნ და წ 1.02.07-87 და პნ 02.01-08 მოთხოვნათა გათვალისწინებით, თვითმავალი საბურღი დანადგარით "უგბ-1ვს", დიამეტრით 160 მმ-მდე, შერეული (მექანიკური, სვეტური და შნეკური) ბურღვის მეთოდით, მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით, შემოკლებული რეისებით

გაყვანილი იქნა 3 (№1-3) ჭაბურღილი, აქედან, ჭაბურღილი №1-10.0 მეტრი, ჭაბურღილი №2-15.0 მეტრი, ხოლო ჭაბურღილი №3-13.0 მეტრი, საერთო მეტრაჟით 38.0 გრძივი მეტრი.

ჭაბურღილების სიღრმე გამოწვეულია სნ და წ 1.02.07-87 პუნქტი 3.64, ცხრილი 37 მოთხოვნათა გათვალისწინებით და ძირითადი ქანების წოლის სიღრმით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

- ლაბორატორიული შესწავლისათვის ჭაბურღილებიდან, სხვადასხვა სიღრმიდან (ჭაბურღილი № 1-4.0 მეტრი, ჭაბურღილი №2-6.0 მეტრი, ჭაბურღილი №3-8.0 მეტრი და ჭაბურღილი №2-12.0 მეტრი) აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 3 (2 ნიმუში თოხოვან გრუნტიდან და 1 მონოლითიც ძირითად ქანებიდან) ნიმუში და დარღვეული სტრუქტურის 1 ნიმუში, ხოლო საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლიდან, ქიმი ური ანალიზისათვის, გრუნტის წყლის ბეტონის მიმართ აგრესიული თვისებების განსაზღვრის მიზნით, გრუნტის წყლის ერთი სინჯი, რომლის კვლევის შედეგები, თან ერთვის წინამდებარე საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშს გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგების, გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების (კრებსითი ცხრილის), აგრეთვე ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების სამუშაოს ანგარიშის სახით.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი შესრულებული იქნა შპს "წყალი და გრუნტის" ლაბორატორიაში ანალიტიკოს თ. მიქავას მიერ, თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტების ლაბორატორიული კვლევების ჩატარებული იქნა შპს "გეოინი"-ს გრუნტების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ლაბორატორიის უფროსის ნ. ხმელაძეს მიერ, ხოლო ძირითადი ქანების ლაბორარტორიული კვლევები კი ჩატარებული იქნა შპს "გეოლოგიური სამსახური"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ლაბორატორიის ხელმძღვანელის, აკადემიური დოქტორის ნ. სადრაძის ხელმძღვანელობით.

თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტების კლასიფიკაცია მოხდა ГОСТ 5180-82 და ГОСТ 25100-82-ის მიხედვით, ხოლო ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევები ჩატარებული იქნა შემდეგი სტანდარტების გამოყენებით:

- ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
- ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე;
- ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;
- ГОСТ 21153,5-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ძვრაზე გამოცდით;
- ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ტოპოგეგმად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმა, მასშტაბით 1:500-თან, შესრულებული შპს „ტერაგრაფიკი“-ს მიერ.

საველე სამუშაოები ჩატარდა ინჟინერ-გეოლოგ ბ. დევდარიანის ხელმძღვანელობით, ხოლო საკვლევი უბანი დაათვალიერა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა გ. ტატინაშვილმა.

II- საინჟინრო გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპე-ციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ.

ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადოებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე), ჩატარებულია 1985-1900 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომაში (1970 წ).

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წელი), დ. წერეთელს (1886 წელი) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

III- კლიმატი

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოყენებულია მეტეოსადგურების მონაცემები და მოყვანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

IV-ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდინარე მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია მდ. ვერე და დიღმისწყალი, ხოლო მარცხენა შენაკადიდან მდ. გლდანულა.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვარობა, რომელიც გამოიხატა ორი ძირითადი ტიპის და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთიან ნაწილში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვაროვანია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენა ნაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

მარცხენაპირეთის შემოგარენი უფრო დაბალია, უმეტესად ჩამოყალიბებულია გორაკ-ბორცვანი რელიეფი, რომლებიც მდინარეებით ნაკლებად არის დაღარული.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ძირითადად აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი შემოგარენი აგებულია მესამეულ ასაკის ტერიგენული და ტუფოგენურ ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეული (მდინარეულ და ტბურ) ნალექებს.

მარჯვენა ნაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედა ეოცენურ დანალექებს, რომლებიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. აქ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები, უხეშშრეებრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფრით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთის და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ

იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით.

თბილისის და მის მიდამოებში ფართოდ არის გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიური, დელუვიურ-პროლივიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. დელუვიური და დელუვიურ-პროლივიური ნალექები, რომლებიც მეტწილად თიხნარების, თიხების და ლაოსისებრი თიხებისაგან შედგება, გავრცელებულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირეთში და სხვადასხვა სიმძლავრისაა. ტბიური ნალექები განვითარებული კუმისისა და ლისის ტბის ქვაბულში, აგრეთვე გავრცელებულია ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე.

თბილისისა და მის მიდამოებს რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტო-ქედებზე. თბილისის მეწყრები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (აკად. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიან, ნაპრალოვან და ნაპრალოვანიკარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლების გამოვლინებები.

უშუალოდ საკვლევ უბანზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი არ არის. ზედაპირული წყლები მხოლოდ წვიმისა და თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და ფართობულ ხასიათს ატარებს.

V. საინჟინრო გეოლოგიური პირობები

ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადად კარგად შესწავლილია. არსებობს 600 000 მასშტაბის საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, გეოტექტონიკური, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკები და განმარტებითი ბარათები.

სხვადასხვა დროს საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებია ჩატარებული, მაგრამ არსებული მასალები საკმარისი არ არის მშენებლობისათვის გამოყოფილ ცალკეული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასახასიათებლად. კვლევები

აუცილებელია, რადგან არსებული მასალა ვერ უზრუველყოფს დეტალურობის საჭირი ხარისხს.

საკვლევი უბანი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.713.01.007.090, შპს „ბრიტანული ცენტრის (თოდუიას კლინიკა)“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი განთავსებულია მდინარე მტკვარის მარჯვენა ჭალისზედა I ტერასაზე, რომლის რელიეფიც ტექნოგენურია, ოდნავ დახრილია აღმოსავლეთისაკენ (მდინარე მტკვრისაკენ) და რომლის აბსოლიტური ნიშნულები საპროექტო არეალში, მერყეობს 427.70-428.10 მეტრის ფარგლებში.

საკვლევ უბანზე განთავსებულია შპს „ბრიტანული ტენტრი“-ს (თოდუას კლინიკა) ავტოსადგომი.

პ.ნ 01.05-08-ის “სამშენებლო კლიმატოლოგია” თანახმად, საკვლევი უბნის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა - $+12.3^0C$;
- ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი - -23^0C;
- ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმი - $+40.0^0C$;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში - 560.0 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 31.0 მ/წ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0.38 კპა; 15 წელიწადში ერთხელ - 0.60 კპა;
- ქარის გაბატონებული მიმართულება - ჩრდილოეთის;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 15;
- გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე -0 სმ.

საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და საკვლევი უბნის ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 1.30-1.70 მეტრის სიღრმიდან, 7.20-7.50 მეტრის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური (dQ_{IV}) ნალექები წარმოდგენილი, ყავისფერი, მიკროფორული, ძირითადად ნახევრადმყარი კონსისტენციის (ფენის ზედა ნაწილში, ინტერვალი 1.30-1.70 მეტრიდან 4.10-4.20 მეტრამდე ძნელპლასტიკური კონსისტენციის) წვრილი კენჭების იშვიათი ჩანართებიანი, ფენის ქვედა ნაწილში კი (ინტერვალი 5.90-6.20 მეტრიდან, 7.20-7.50 მეტრამდე) წვრილი კენჭების 35%-მდე ჩანართებიანი თიხები (ფენა 2), რომლის ქვეშაც, მიწის ზედაპირიდან 7.20-7.50 მეტრის სიღრმიდან, 8.80-9.00 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია ალუვიური (aQ_{IV}) ნალექები, მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი - კაჭარ-კენჭნარი, საშუალო და მსხვილი ფრაქციის, ქვიშის შემავსებლით 20%-მდე (ფენა 3).

მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტის ჩონჩხური მასალა კარგად დამუშავებულია, არც თუ იშვიათად გვხვდება დაუმუშავებელი ფრაქციებიც. წარმოდგენილია მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანებით.

ყოველივე ზემოთაღწერილი ნალექები, ქვემოდან, მიწის ზედაპირიდან 8.80-9.00 მეტრის სიღრმიდან, გამოკვლეულ 10.0-15.0 მეტრის სიღრმემდე, შემოფენილია ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის ძირითადი ქანებით, წარმოდგენილი გამოფიტული თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით (ფენა 4). ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან გამოფიტულია, ხოლო სიღრმეში კი გამოფიტვის ხარისხი მცირდება და გადადის ნაკლებად გამოფიტულში.

ქვიშაქვები მუქი სერი-მოლურჯო ფერისაა, წვრილი და საშუალო მარცვლოვანია, თხელშრეებრივი, თიხოვან ცემენტზე, არგილითები კი მუქი ყავისფერი, მოშავო ფერისაა, ფირფიტისებრი აღნაგობის. ქვიშაქვები და არგილითები ურთიერთმონაცვლეობენ, მათი შეფარდება გეოლოგიურ ჭრილში 70/30-ზეა.

ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია:

- მიმართების აზიმუტი: ჩრდილო-დასავლეთის 330-335^0;
- დაქანება" სამხრეთ-დასავლეთის 240-245^0;
- დახრის კუთხე ∢12-16 გრადუსი.

ყოველივე ზემოთაღწერილი ნალექები, ზემოდან, გადაფარულია 1.30-1.70 მეტრის სიმძლავრის ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტით, ნაყარით - ფენის ზედა ნაწილში 0.20 მეტრის სიმძლავრემდე, ბეტონი, რომლის ქვეშაც ხრეშოვან-კენჭნაროვანი საბალასტე გრუნტი (სიმძლავრით 0.15 მ-მდე) და სამშენებლო ნაგავის, თიხოვან გრუნტის კენჭების და ღორღის ნარევი (ფენა 1).

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით (იანვარი, 2026 წელი). გრუნტის წყალი გამოვლინდა სამივე ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 6.0-6.10 მეტრის სიღრმეზე და დამყარდა მიწის ზედაპირიდან 5.50-5.60 მეტრის სიღრმეზე. გრუნტის წყალი თავისი გენეზისით წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების გრუნტში ინფილტრაციის შედეგს (არ არის გამორიცხული ტექნოგენური წყლების ფაქტორიც) და თავისი ცირკულაციით დაკავშირებულია ალუვიურ (aQ_{IV}) ნალექებთან.

როგორც აღინიშნა შესავალ ნაწილში საკვლევ უბანზე გავრცელებული ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში, რომელზედაც განსაზღვრული იქნა თიხოვანი გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. რომლის კვლევის შედეგები |თან ერთვის წინამდებარე დასკვნას თიხოვანი გრუნტის ლაბორატორიული კვლევების შედეგების (კრებსითი ცხრილის) სახით.

ქვემოთ ცხრილ №1-ში მოცემულია ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტის ფიზიკური მახსიათებლების მნი|შვნელობების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1.	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	22-27	24.5
2.	ტენიანობა		W	%	31.8-33.9	32.85
3.	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1.82-1.85	1.835
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.36-1.40	1.38
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.73	2.73
4.	ფორიანობა		n	%	49-50	49.5
5.	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.950-1.007	0.9785
6.	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	0.10-0.27	0.19
7.	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.91-0.92	0.915

ცხრილის თანახმად ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის ($\bar{I}_P = 24.5$) მიხედვით თიხაა, ნახევრადმყარი ($\bar{I}_L = 0.19$) კონსისტენციის.

ბუნებრივი ტენიანობა $W = 31.8 - 33.9\%(\overline{W} = 32.85\%)$ ფარგლებში მერყეობს, ფორიანობა კი $n = 49 - 50\%(\overline{n} = 49.5\%)$ ფარგლებში, ფორიანობის კოეფიციენტის ($\bar{e} = 0.979$)-ის მნიშვნელობის დროს.

ტენიანობის ხარისხის მნიშვნელობა მეტია კრიტერიუმ 0.80-ზე, ($S_r = 0.915 > 0{,}80$), რაც იმის მაჩვენებელია რომ გრუნტის ფორები შევსებულია წყლით.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები შეიძლება გამოყენებული იქნეს საანგარიშოდ.

ფენა 2-ის თიხებისთვის კომპრესიული და ძვრაზე გამოცდები არ ჩატარებულა, პნ 01.02-08-ის პ.პ 7.37-ის მიხცედვით II კლასის ნაგებობისთვის სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები შეიძლება განსაზღვრული იქნეს ფორიანობის კოეფიციენტის ($e = 0.979$) მიხედვით და მოტანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული ფენა 3-ის მსხვილნატეხოვან (კენჭნაროვან) გრუნტიდან, აღებული იქნა გრუნტის დარღვეული სტრუქტურის 1 ნიმუში, რომელზედაც ლაბორატორიაში განსაზღვრული იქნა გრანუმეტრიული შემადგენლობა. როგორც გრანუმეტრიული შემადგენლობის ცხრილიდან ჩანს, 2 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციების პროცენტული შემადგენლობა 81.3%-ია, ხოლო 2 მმ-ზე ნაკლები ფრაქციების შემადგენლობა კი შესაბამისად 18.7%-ია, შემავსებელი ქვიშაა, ფენისათვის სიმტკიცის მახასიათებლების მნიშვნელობები აღებულია პნ 02.01-08-ის შესაბამისი დანართები და ცრილებიდან და მოცემული იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

როგორც შესავალ ნაწილში იყო არნიშნული ფენა 4-ის გამოფიტული ძირითადი ქანებიდან, ქვიშაქვები არგილიტების შუაშრეებით, აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 1 ნიმუში, რომელზედაც ლაბორატორიაში განსაზ|ღვრული იქნა გრუნტის სიმკვრივე (ρ გ/სმ^3), სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, ჰაერმშრალ და წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ($R_{c\pi}$ მპა), აგრეთვე განსაზღვრული იქნა დარბილების კოეფიციენტი (K_{sof}).

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები

სიმკვრივე $\rho = 2.40$ გ/სმ^3
სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა
ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ
მდგომარეობაში $R_{c\pi}$=11.4 მპა (კგძ/სმ^2)

დარბილების კოეფიციენტი $= 0.62$.

პნ 01.01-08 დანართი 1 ცხრილი 1-ის თანახმად ფენა 4-ის ძირითადი ქანები მიეკუთვნება კლდოვანი, დაბალი სიმტკიცის, მკვრივი დარბილებადი გრუნტების კატეგორიას, ფენის გახსნის სიმძლავრე 1.0-6.20 მეტრია.

როგორც გრუნტის წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, გამოკვლეული წყალ-გარემო საერთო მინერალიზაციის სიდიდით, რომელიც M=2.63 გ/ლ ტოლია, სინჯი მომლაშო წყლების (M>1 გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ქიმიური შედგენილობით

სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიან ტიპისაა. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (pH =6.81).

აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი წყლის სინჯი სულფატების შემცველობის მხრივ პორტლანდცემენტის მარკის ბეტონის მიმართ „საშუალო“ და „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს W_4 და W_6 წყალშეღწევადობისას. ხოლო შლაკოპორტლანდცემენტის და სულფატმედეგი მარკის ბეტონის მიმართ აგრესიულობას არ ავლენს. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯის აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – “სუსტი”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო უბანი კარგ პირობებშია, ვინაიდან როგორც სამშენებლო უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ს.ნ და წ 02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II კატეგორიას, საშუალო სირთულის.

უარყოფითი ფაქტორია გრუნტის წყლის გავრცელება.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით, უბნის გეოლოგიური ჭრილში გამოიყოფა 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.)

I ს.გ.ე - ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხები (ფენა 2);

II ს.გ.ე - მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი (ფენა 3);

III ს.გ.ე. – გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4).

3. ტექნიკური დავალების თანახმად დასაპროექტებელი შენობის დაფუძვნება გათვალისწინებულია რკინაბეტონის ფილის საძირკვლების საშუალებით, რის შემთხვევაშიც ფუძე-გრუნტებად მიღებული უნდა იქნეს II სგე-ის ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტი.

დასაშვები ჯდენების გადაჭარბებისას, მიზანშეწონილია საძირკვლების ტიპად მიღებული იქნეს ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯები, III საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის ფენა 4-ის ძირითად ქანებზე დაფუძვნებით, მათში სათანადო ჩაღრმავებით (1.0-2.0 მეტრი).

4. ფუძე გრუნტებად Iნ საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის ფენა 2-ის თიხების მიღების შემთხვევაში ფილის საძირკვლების მოწყობისას, თიხოვანი გრუნტის მაღალი ფორიანობიდან (e=0.886) გამომდინარე მიზანშეწონილია საძირკვლების ქვეშ, გათვალისწინებული იქნეს ხრეშოვან-კენჭნაროვანი ხელოვნური ბალიში, მისი სათანადო ფენობრივი შემკვრივებით (0.20-0.25 მეტრი), საპროექტო ნიშნულამდე მიყვანით.

5. ქვემოთ ცხრილ №2-ში მოცემულია სამივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტების (ფენა 2, ფენა 3 და ფენა 4) აუცილებელი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების, პნ 02.01-08, საფონდო დანართების და ცხრილების, საფონდო მასალების, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

ცხრილი 2

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები		
		I სგე (ფენა 2)	II სგე (ფენა 3)	III სგე (ფენა 4)
1.	სიმკვრივე ρ- გ/სმ^3;	1.83	2.02	2.40
2	შინაგანი ხახუნის კუთხე φ^0	14	36	-
3.	ხვედრითი შეჭიდულობა Cკპა(კგძ/სმ^2)	36 (0.36)	2(0.02)	-
4.	დეფორმაციის მოდული Eმპა(კგძ/სმ^2)	12 (120)	45 (450)	-
5.	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0-კპა (კგძ/სმ^2);	180 (1.8)	400 (4.0)	-
6.	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c\pi}$ მპა (კგძ/სმ^2)	-	-	11.4 (114.0)
7.	საგების კოეფიციენტი K-კგ/სმ^3	3.0	7.0	80.0
8.	პუასონის კოეფიციენტი μ	0.42	0.27	0.26

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლებისათვის ხიმინჯის შემომფენავი გრუნტებისდ საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობები ((C_z) აიღება სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი) საძირკვლები დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

6. გრუნტის წყლის დონის მაქსიმალური აწევის დონედ მიღებული იქნას +0.50 მეტრი გამოვლინებულ დონეებთან მიმართებაში.

გრუნტის წყლის ცირკულაციის ზონაში მოხვედრილი მიწისქვეშა კონსტრუქციები უნდა დამზადდეს გრუნტის წყლის ქიმიურ ანალიზში რეკომენდირებული მარკის ცემენტებზე დამზადებული ბეტონისაგან

7. ს.ნ და წ "სეისმომედეგი მშენებლობა" (პ.ნ 01.01-09) თანახმად ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრ.1-ის თანახმად სამშენებლო მოედანი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1) - III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი ფენები (ფენები 2-4) - II კატეგორიას.

სამშენებლო უბნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი. $A = 0.17$ სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით.

8. მიწისქვეშა სართულის კედლების ზედაპირული წყლებიდან დაცვის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტში განსაზრვრული იქნეს წყალამრიდი ღონისძიებები და მოხდეს მიწისქვეშა სართულის კედლების ჰიდროიზოლაცია.

9. ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული იქნას ს.ნ და წ 3.02.01-87-ის პ.პ. 3.11; 3.15 პუნქტების და აგრეთვე ს.ნ და წ III -4.80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, ს.ნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად, სამშენებლო უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) -სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (ვუტოლებთ 24ა).

ბ) თიხა (ფენა 2) - სამივე სახეობით დამუშავებისას - III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1830 კგ/მ^3 (რ№8ბ);

გ) მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – IV ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით – 2020 კგ/მ^3 (რიგ№6ბ).

დ) გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) - ხელით დამუშავებისას VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2400 კგ/მ^3 (რ№28ბ);

11. ბურღვით ნატენი, ხიმინჯების მიღების შემთხვევაში, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით ბურღვის მეთოდისა და სიძნელიდან გამომდინარე აიღება სნ და წ მე-4 კრებულის 5 და 6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი



გ. ტატინაშვილი

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

საანალიზოდ გადმოცემული წყლის სინჯი აღებულია თბილისში, დიღმის მასივის ლუბლიანას ქუჩის (ს/კ 01.13.01.007.090) მიმდებარე ტერიტორიაზე, გაყვანილი ჭაბურღილიდან, 6.0 მ სიღრმიდან.

საერთო მინერალიზაციის სიდიდით, რომელიც $M = 2.63$ გ/ლ ტოლია, სინჯი მომლაშო წყლების ($M > 1$ გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიან ტიპისაა. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($pH = 6.81$).

